ეროვნული ბიბლიოთეკა

სიცოცხლის მაცხოვრებელი



L-1920

მარკ. 16,15-16

6/81

№ 4

მწყემსი კეთილი

„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადვის ცხოვართათვის“.

(იოანე, 10,11).

მწყემსი კეთილი

ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ვინც კარიდან არ შედის ცხვრის ეზოში და სხვა გზით შეაღწევს, ქურდი და ავაზაკია იგი. ვისაც კარიდან შედის, ცხვრის მწყემსია იგი. — ჩვენ სინამდვილეში ვიცით, რომ ცხვრის ეზოში მწყემსს არ ესაჭიროება სხვა მხრიდან შეძრომა. იგი კარით შედის. ეს იმას ნიშნავს, რომ ვისაც ქრისტე არ სწამს და ხალხთა მმართველობას აღწევს გაიძვერული მოხერხებით, ასეთი მთავრობის მოხელე, როგორც უღმერთო, ხალხს არ ზოგავს,ასეთ მრავალ მწყემსს ჩვენ დღეს რეალურად ვხედავთ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

იოან. 10,4 — ში ნათქვამია: როცა თავისებს გამოუშვებს, იმათ წინ მიდის და ცხვარი მისდევს მას, რადგან სცნობს მის ხმას, (მიაქციეთ ყურადღება) იმათ წინ მიდის. 1) როცა წინ მიდის, საშიშროებას აცილებს მტაცებლებისაგან. 2) ცხვარი მის ხმას მისდევს ე. ი. თავის სურვილით და არა ძალდატანებით (1 პეტ.. 5,2-3) — რამდენია ასეთი მწყემსი რომ წინამძღოლი და მაგალითი იყოს ერისათვის? ბევრი დღევანდელი მწყევსი არ ზოგავს ადამიათა სიცოცხლეს პირუტყვ ცხოველებივით, ძალადობით უკნიდან მიერეკება სასაკლაოსაკენ.

რადგან მისმა მოწაფეებმა ვერ გაუგეს, განუმარტავს სხვა სახით (იოან.10, 7) მე ვარ ცხვრის კარი", ე. ი. ქრისტეს გარეშე ცათა სასუფეველში ვერვინ შეაღწევს (იოან.14,6). იმეორებს: „მე ვარ კარი: ვინც შედის ჩემით, გადარჩება, და შევა და გამოვა და საძოვარს იპოვის" (იოან. 10,9) ე. ი. მთლად თავისუფალი და უზრუნველყოფილი (ლუკ.4,18-21). „ქურდი მოდის მხოლოდ იმისათვის, რომ მოიპაროს, მოკლას და მოსპოს". — ასეთი ქურდები საკმაოა დღეს ქვეყნიერებაზე, როგორიცაა იტალიაში, ლიბანონში ირანში და სხვა მრავალ ქვეყანაში. — ესაა ძარცვა-გლეჯის ტერორიზმი, რომელსაც რელგიაც კი თანაუგრძნობს, ისინი ყაჩაღები და კაციპარიები ანადგურებენ უდანაშაულო ბავშვებს, ქალებსა და სწავლულებს (1 ტიმ.3,1-9).

„მე იმისათვის მოვედი, რომ სიცოცხლე ექნეთ და უხვად ექნეთ. მე ვარ მწყემსი კეთილი. მწყემსი კეთილი თავის სიცოცხლეს აძლევს ცხვრისათვის". (ეს სიტყვები იესომ გაამართლა მთელი თავისი სისრულით იოან.19,28-30).

„დაქირავებული კი, მწყემსი რომ არ არაა და არც ცხვარია მის საკუთარი, მოსული მგლის დანახვისას სტოვებს ცხვარს და გარბის. მგელი კი იტაცებს მათ და ფანტავს. მე ვარ მწყემსი კეთილი, მე ვიცნობ ჩემსას და ჩემი მიცნობს მე(იცნობ შენ ამ მწყემსს და გიცნობს შენ ეს მწყემსი?). როგორც მამა მიცნობს მე და მე ვიცნობ მამას, ჩემ სიცოცხლეს ვდებ ცხვრისათვის. მე სხვა ცხვარიც მყავს; არა ამ ფარეხიდან. მე ისინიც უნდა მოვიყვანო.ისინი მოისმენენ ჩემს ხმას და გახდება ერთი ფარა და ერთი მწყემსი".

(ეს არის, ისრაელიდან და ყველა სხვა ერიდან) იმიტომ ვუყვარვარ მამას, რომ მე ჩემს სიცოცხლეს ვდებ რათა ისევ მივიღო იგი (მისი სიკვდილი ჩვენი ცოდვებისათვის და მისი აღდგომა ჩვენი გამართლებისათვის. რომ 4,25).

„ჩემი ცხვრები ჩემს ხმას ისმენენ და მე ვიცნობ მათ; და ისინი მე მომყვებიან. მე მათ საუკუნო სიცოცხლეს ვაძლევ, არ დაიღუპებიან სამუდამოდ და ჩემი ხელიდან ვერავინ წამგლეჯს. მამაჩემი, რომელმაც მომცა ისინი, ყველაზე დიდია, და ვერავინ შეძლებს წაგლეჯას მამას ხელიდან, მე და მამა ერთი ვართ"(იოან. 10,27-30).

ვისაც სიცოცხლე გწყურიათ, მოდით მასთან. მის გარეშე სიცოცხლე არ არსებობს, არამედ წამება სულისა, მღელვარება, აფორიაქება,შიში, ნერვიულობა და სიკვდილი, მხოლოდ ქრისტეა დამამშვიდებელი, ადამიანის სულისა და სინდისის დამაწყნარებელი.

აი, სწორედ ეს კეთილი მწყემსი მოგიხმობთ პირადად თქვენც: „მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო, და მე დაგამშვიდებთ თქვენ". ამიტომ, მოდით ქართველო დებო და ძმებო ამ კეთილ მწყემსთან და იხარეთ, იზეიმეთ, ჰეშმარიტი თავისუფლების დროშის ქვეშ, რომელიც არის ყოველგვარ ბოროტებაზე გამარჯვების ჯვარი.

გალობა № 186

1 გსურს გამუდმებით ქრისტესთან იყო, გსურს ვიწრო და სწორი გზით შენ იარო, გსურს მან გაპატიოს ცოდვა შენი, უფალს იესოს მიანდე გზა შენი. გაგიძღვება წინ ის ძლიერი. გაგანთავისუფლებს მისი სისხლი, მიანდე გზა შენი.

2 გსურს შენ, რომ უპასუხო მის ძახილს, გსურს იყო ცოდვისაგან თავისუფალი, გსურს სულიწმიდამ იცხოვროს გულში, უფალს იესოს მიანდე გზა შენი. ქრისტეს წმიდა სისხლით გაიბანე, მასშია მხოლოდ ხსნის სისრულე, მიანდე გზა შენი.

3 გსურს შენ, რომ მიიღო წმიდა მადლი, გსურს შენ დაიმკვიდრო სასუფეველი, გსურს შეიცვალო მიწიერ სვლაში-უფალს იესოს მიანდე გზა შენი აღადგენს ის შენს სულს, როდესაც მას ეკუთვნის სვლა შენი, მიანდე გზა შენი.

სარწმუნოების მოძღვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

I ქრისტეს ეკლესიის ჭეშმარიტი საფუძვლები
სიტყვა ღმერთის ანუ წმიდა წერილი

1. ჩვენ გვწამს, რომ ყველა კანონიერი წიგნები ბიბლიაში: 39 წიგნი ძველ აღთქმაში და 27 წიგნი ახალ აღთქმაში წარმოადგენს სიტყვა ღმერთისას:
„ღმერთი, რომელიც ძველთაგან მრავალჯერ და მრავალი სახით ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა საშუალებით, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძის მიერ“– ებრ. 1,1-2 (მათ.7,13; საქ. 13,5.44; რომ.10,17; ეფს. 6,17; ებრ.4,12).
ბიბლია არის განსაკუთრებული გამოცხადება ღმერთის მიერ კაცობრიობის თაობისათვის; იგი წარმოადგენს ჭეშმარიტ წყაროს ღვთის შემეცნებისას და შეიცავს წინასწარმეტყველებას, კანონებს, ღმერთის აღთქმებს, უხსნის ღმერთის სურვილს და მიუთითებს გადარჩენის გზას. ქრისტემ თქვა: „გამოიძიეთ წერილში, რადგან გგონიათ, რომ მასში საუკუნო სიცოცხლე გაქვთ. ისინი კი ჩემს შესახებ მოწმობენ“– ინ.5,39.
„და მოვიდა მოსე და მოუყვა ხალხს ყოველი სიტყვა უფლისა და მთელი კანონი; და მთელმა ხალხმა ერთხმად უპასუხეს: რაც კი თქვა უფალმა, გავაკეთებთ“– გამს. 24,3 (გამს. 20,1-17; 2სჯ.4,3-14; 31,11-13).
„და დაუწყო მოსედან და ყველა წინასწარმეტყველიდან და განუმარტავდა მათ ყველა წერილიდან მის შესახებ ნათქვამს“–ლუკ.24,27(ინ.1,45; 2პეტ. 3,2).

2. ჩვენ გვწამს, რომ ყველა წერილი სულისიერია, და რომ დაწერილია სულიწმიდის განზრახვითა და მითითებით:
„მთელი წერილი მოცემულია სულისით და სასარგებლოა სწავლებისათვის მხილებისათვის, გამოსწორებისათვის და სამართლიანობაში“–2ტიმ.3,16.
„ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ ამოქმედებულნი, წარმოსთქვამდნენ ღმერთისაგან“–2პეტ.1,21 (გამს.24,4; იერ.1,9; 36,1-4; 27,28; ლუკ.1,1-4; ინ.21,24; 2პეტ.1,15-21; ეფს.3,3; 1თეს.2,13).

3. ჩვენ გვწამს, რომ ღვთის სიტყვა საუკუნოა და გარდაუვალი:
„ცა და დედამიწა გადაივლიან, ჩემი სიტყვები კი არ გადაივლიან“–მათ. 24,35. „იგი არ ბრუნდება ჩემთან ამაოდ, არამედ ასრულებს იმას, რაც მე მნებავს“– ეს.55,10-11. წმიდა წერილი გვატყობინებს ჩვენ სრულყოფილ ღვთიურ ჭეშმარიტებას,გახსნილს ძე ღმერთი იესო ქრისტეში –ფს.18,8-10; 118; 138; 142.
„განწმიდე ისინი ჭეშმარიტებით: შენი სიტყვა ჭეშმარიტია“–ინ.17,17(რომ. 3,12). ბიბლიის წყალობით ჩვენ შევიცნობთ ღმერთის სიყვარულს, ღია გზას საუკუნო სიცოცხლისაკენ, და ჭეშმარიტებას, რომლის საფუძველზე ღმერთი გაასამართლებს კაცობრიობის მოდგმას.

„ეს არის სიყვარული, რომ ჩვენ კი არ შევიყვარეთ ღმერთი, არამედ მან შეგვიყვარა და წარმოგზავნა თავისი ძე ჩვენი ცოდვებისათვის შესარიგებელ მსხვერპლად“–1 ინ.4,10.

„იესომ უთხრა მას: მე ვარ გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე. მამასთან ვერავინ ძივა, თუ არა ჩემს მიერ“– ინ. 14,6.

„სიტყვა, რომელიც მე წარმოვთქვი, ის გაასამართლებს მას უკანასკნელ დღეს“–ინ. 12,48; 5,27-29.39; 12,47-48; 20,31.

4. ჩვენ გვწამს, რომ წმიდა წერილი წარმოადგენს საფუძველს ქრისტიანული რწმენისა და მრჩეველს ყოველდღიურ ცხოვრებაში:

„და ახლა ჩვენ გვაქვს უმტკიცესი წინასწარმეტყველური სიტყვა; და თქვენ კარგად იქცევით, რომ მიმართავთ მას, როგორც ლამპარს, რომელიც ბნელ ადგილას ანათებს, ვიდრე დღე გათენდებოდეს და ცისკრის ვარსკვლავი ამოვიდოდეს თქვენს გულებში“– 2 პეტ. 1,19 (2 შჯ.6,2; ისუ ნ.1,7-ჩ; რომ. 15,4; 2 ტიმ.3,14.16; 1 ტიმ.4,6; ეფს.4,12). წიგნები წმიდა წერილებისა ღმერთის წინხედვით გულმოდგინეთ იქნენ დაცულნი ჯერ ძველი აღთქმის ღმერთის ერით, რომელთაც ჰქონდათ მინდობილი ღმერთის სიტყვა, შემდეგ კი ეკლესიით – 2 შჯ. 4,8.14; ფს. 147,8; რომ.3,2.

წმიდა წერილი უკრძალავს მასში რაიმეს ჩამატებას ან მისგან გამოკლებას. „ამრიგად თუნდაც ჩვენ, ან ანგელოზებმა ზეციდან გახაროთ არა ის სახარება, რომელიც ჩვენ გახარეთ, იყოს შეჩვენებული“– გალ.1,8 (დაბ.4,2; იგავ. 30,6; რომ.16,17-18; გამც. 22,18-19).

II ღმერთის შესახებ

5. ჩენ გვწამს ერთადერთი, ცოცხალი, ჭეშმარიტი და მართალი ღმერთი:

„რათა შენ იცოდე, რომ მხოლოდ ღმერთია უფალი, და რომ არ არის კიდევ გარდა იმისა“– 2 შჯ. 4,34.

ასე ამბობს... უფალი ცებაოთი: მე ვარ პირველი და მე ვარ უკანასკნელი, და ჩემს გარდა არ არის ღმერთი“– ეს. 45,5-6 (ფს. 89,3; ეს. 45,5-6; იერ. 10,10; საქ. 6,26; მარ.12,29; .32; ინ. 17,3).

6. ჩვენ გვწამს უსაწყისო, ყოვლადბრძენი, ყველგანმყოფი, ყოვლისშემცნობი ღმერთი: „დიდია ღმერთი ჩვენი და დიდია სიმაგრე მისი და გოხება მისი განუზომელია“– ფს. 146,5.

„შენ იცი, როდის ვჯდები და როდის ვდგები; გაგებული გაქვს ზრახვანი ჩემი ორიდან“– ფს. 138,2.

„ცნობილია ღმერთისათვის დასაბამიდან ყველა მისი საქმე“– საქ. 15,18 (ფს. 101,28; 138,7-10; იერ. 23,23-24; 1 ტიმ. 1,17; ებრ.4,13).

7. ჩვენ გვწამს ყოვლისშემძლე ღმერთი, ცისა და დედამიწის შექმნელი და ყოველგან მყოფი ცასა და დედამიწაზე:

„მე ვარ ღმერთი ყოვლისშემძლე; იარე ჩემს წინაშე და იყავ უმანკო“– დაბ. 17,1. „მე წარმოვშვი დედამიწა და შევქმენი მასზე ადამიანი; მე – ჩემმა

ხელებმა განავრცეს ცანი და ყველა ქმნილებას მივეცი კანონი“– ეს.45,12 (დაბ.1,1-3; ფს.106,25-29; ნაუმ1,5; ეს.40,26-29; საქ.17,24-28).
„და ყოველი მკვიდრი დედამიწაზე, არაფერს ნიშნავს; იგი მოქმედებს თავის ნებისამებრ, როგორც, როგორც სამყაროში, ასევე დედამიწაზე მკვიდრთა თვის და არ არსებობს ვინმე, რომ წინააღუდგეს მის ხელებს და უთხრას მას „რას ჩადიხარ?“– საქ.4,32 (ლუკ.1.26: ებრ.1,14).

ბ. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი არის სულისი(дух). უხილავია ადამიანისათვის იგი მხოლოდ:

„მისი უხილავობა, მისი მარადიული ძალაა და ღვთაება, ქვეყნიერების დასაბამიდან ქმნილებათა განხილვით ხილულია“– რომ.1,20. ღმერთი არის სული, და, რომლებიც თაყვანს სცემენ, თაყვანს უნდა სცემდნენ სულისითა(ლუხ) და ჭეშმარიტებით“– ინ.4,24(გამს.33,20; ფს.18,2; ინ.1,18; 1ტიმ.1,17; 6,16).

9. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთია სრულყოფილი, მართალი და წმიდა:

„მაშ იყავით სრულყოფილნი, ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“–მათ.5,48; „არამედ თვითონაც იყავით წმიდანი ყოველ ქცევაში, როგორც წმიდაა იგი, ვინც თქვენ მოგიწოდათ, რადგან წერია: იყავით წმიდანნი, რამეთუ წმიდა ვარ მე“– 1პეტ.1,15-16 (დაბ.32,4; ეს.57,15).

ა. ღმერთია მოწყალე, სამართლიანი და გულმოწყალე:

„იყავით გულმოწყალენი, ისევე, როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე“–ლუკ.6,36; „მართალი ხარ შენ, და სწორია სამართალი შენი“–ფს.118,137(ფს.98,9); „რამეთუ მწყალობელი და შემწყალებელია უფალი“–იაკ.5,11 (ფს.85,5; 114,5; ლუკ.10,30-37; მათ.9,36; 14,14; ლუკ.7,13; ებრ.4,5).

10.ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი არის სიყვარული და რომ სიყვარული მისი ვრცელდება მთელ მის ქმნილებაზე. განსაკუთრებით კი დიდია ადამიანის მიმართ: „ჩვენ ვცანით და ვიწამეთ სიყვარული, რომელიც ჩვენდამი აქვს ღმერთს. ღმერთი – სიყვარულია, ხოლო სიყვარულში დარჩენილი ღმერთში რჩება და ღმერთი რჩება მასში“– 1ინ.4,16 (ინ.13,1; 14,21; 17,23; 1ინ.4,9-10; რომ.5,8; ეფს.2,4-5; 1ტიმ.2,4).

III წმიდა სამების შესახებ

11. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთის სიტყვებში, ღმერთი ამჟღავნებს თავისთავს სამების სახით: მამაში, ძეში და სულიწმიდაში:

ძველ აღთქმაში ღმერთი იყენებს სიტყვას მრავალ რიცხვში,(ელოჰიმ)–დაბ.1,26; 3,22; გამს.6,8. იქვე იმყოფება მითითება იესო ქრისტესა და სულიწმიდის მოქმედებაზე– დაბ.1,2; მსჯ.6,34.

ა. ახალ აღთქმაში წმიდა სახარებაზე ლაპარაკია შემდეგი:

„ნათლობის შემდეგ იესო ამოვიდა მაშინვე წყლიდან და აი, გაიხსნენ ცანი, ღმერთის სულისი(дух), მტრედივით გარდმომავალი, მასზე ეშვებოდა და აი ხმა ციდან მეტყველი: „ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელშიც ჩემი სათნოებაა“– მათ.3,16-17.

„ამიტომ წადით, გახადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი, მონათლეთ ისინი სახ-

ელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“– მათ. 28,19; „უფალი იესო ქრისტეს მადლი, ღმერთის სიყვარული და სულიწმიდის ზიარება ყველა თქვენგანს„– 2 კორ. 13,13;
„მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგცემთ, რათა თქვენთან იყოს“–ინ. 14,16;
„რამეთუ სამი მოწმობენ, მამა, სიტყვა და სულიწმიდა. და ეს სამი ერთია“ –1ინ. 5,7. ამრიგად ჩვენ გვწამს, რომ მამა არის ჭეშმარიტი ღმერთი– 1 კორ. 8,6; ეფს.4,6; მათ. 6,9. ძე არის ჭეშმარიტი ღმერთი– 1ინ. 5,20; ტიტ.2, 10-13; რომ.9,4-5; სულიწმიდა არის ჭეშმარიტი ღმერთი – საქ. 5,3-4; 1 კორ. 3,16; რომ. 8,11; ებრ. 2,4. და ეს სამი (წმიდა სამება) ატარებენ ერთ ღვთაებას.–1ინ. 5,7; განუყოფელნი და თანასწორნი არიან ერთმანეთში– მათ.28,19; 1 კორ. 12,3-6; ინ. 10,30; 14,7-10; 16,13-15.
შემეცნებით ღმერთისა ადამიანს შეუძლია მოვიდეს წმიდა წერილის მეშვეობით და გამოცხადებით სულიწმიდის მიერ –1 კორ. 1,21; 2,14; ინ. 14,26; მათ. 11,25-27; რომ.10,17. აგრეთვე „ქმნილების განხილვით“– რომ1,20; ფს. 18,1-5.

IV ძე ღმერთისას შესახებ

12.ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე არის ძე ღმერთის, რომ იგი არის პიროვნება წმიდა სამების პირი, მარადისობიდან ღმერთი:
„მოვიდა ძე ღმერთისა და მოგვცა ჩვენ (სინათლე და) გონება, რათა ვიცოდეთ ჭეშმარიტი და ვართ ჭეშმარიტში: ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნო სიცოცხლე“– 1ინ. 5,20

ა. ქრისტეა მარად მყოფი, იგი იყო დედამიწაზე მოსვლამდე.
„მე ვარ ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის და იყო და მოდის, ყოვლის მპყრობელი“– გამც. 1,8;
„მაშინ უთხრეს მას: ვინ ხარ შენ? იესომ უპასუხა: საწყისიდან – რასაც გეუბნებით თქვენ“– ინ. 8,25; „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სანამ აბრაჰამი იქნებოდა მე ვარ“–ინ. 8,58;
„რომელიც არის უხილავი ღმერთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა“– კოლ. 1,15 (ინ, 3,13; 6, 62; 17,5-24; 1 კორ. 15,47).

ბ. ქრისტე მეუფებს სუყველაფერზე, იგი აღმატებულია ყველაზე, გარდა მამისა, ვისთანაც ერთარსებაა და თანასწორი მასთან საუკუნემდე:
„ყოველივე ჩემი მამის მიერ გადმომეცა მე, და არავინ იცნობს ძეს, გარდა მამისა; არც მამას იცნობს ვინმე, გარდა ძისა, და ვისაც ძეს სურს განუცხადოს“– მათ. 11,27;
„რომელიც ღმერთის მარჯვნივ იმყოფება მას შემდეგ, რაც ზეცად აღევლინა, რომელსაც დაემორჩილნენ ანგელოზნი და ძალაუფლებანი და ძალები“– 1პეტ. 3,22 (ინ. 3,31; რომ. 14,9; ეფს.1,20-22; ფილ.2,8-10; კოლ.1,15-18).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქრისტეა ყოვლის შემძლე, იგი – სამყაროს შექმნელია:
„ყოველივე შექმნილია მის მიერ; და მის გარეშე არაფერი შექმნილა, რაც კი შექმნილა“– ინ. 1,3;
„ვინაიდან მასში შექმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა“–კოლ1,16;
„მოცემული მაქვს მე მთელი ძალაუფლება ზეცაში და დედამიწაზე“– მათ. 28,18 (კოლ.2,10; ფილ.3,21; ებრ.1,2.10).

დ. ბუნება ემორჩილება მას:– მათ. 8,26; 24,35-42; მარ. 4,39.

ქრისტე გამარჯვებული ჯოჯოხეთზე და სიკვდილზე:
„სად არის, სიკვდილო, შენი ნესტარი? სად არის, ჯოჯოხეთო, შენი გამარჯვება?“– 1 კორ. 15,55 (ლუკ.4,33-36.41; 2 ტიმ,1,10; ებრ.2,14;გამც.20,2-3. 14).

ე. ქრისტეა ყოვლისშემცნობი:
„თვითონ იესო არ ანდობდა მათ თავის თავს, ვინაიდან ყველას იცნობდა. არც სჭირდებოდა, რომ ვინმეს დაემოწმებინა ადამიანის შესახებ, რადგან იცოდა რაა ადამიანში“– ინ. 2,24-25. „და არ არის არსება მისგან დაფარული, არამედ ყველაფერი გაშიშვლებული ღიაა მის თვალთა წინაშე, ვისაც ვაბარებთ ანგარიშს“– ებრ. 4,13 (მათ. 9,3-4; ინ. 1,48-49;4,29; კოლ. 2,3).

ვ. ქრისტეა ყველგან მყოფი: „ვინაიდან, სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქ ვარ მათ შორის“– მათ18,20.
„და აი, თქვენთან ვარ ყოველ დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე“–მათ.28, 20. „ის არის სისრულე აღმავსებლისა ყოველივესი ყველაფერში“– ეფს1,23.

ზ. ქრისტე: როგორც ზეციერი მამა: წმიდა და უცოდველია:
„რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც ყოფილა მზაკვრობა მის პირში“– 1პეტ.1,22; „ასეთი მღვდელმთავარი შეგვფერის ჩვენ: წმიდანი, უმანკო, გულმართალი, ცოდვებისაგან დაცილებული და ცათა ზემოთ ამაღლებული“– ებრ. 7,26.

13. ჩვენ გვწამს: რომ გადარჩენისათვის ადამიანის მოდგმისათვის ღმერთმა წინასწარ გაითვალისწინა საწყალობელი მსხვერპლად თავისი მხოლოდშობილი ძე იესო ქრისტე, „რომელიც ქვეყნიერების დაარსებამდე იყო წინასწარ დანიშნული“– 1პეტ. 1,20.
„და როცა მოვიდა სისრულე დროისა, მოავლინა ღმერთმა თავისი ძე (მხოლოდშობილი)“– გალ. 4,4. „ღმერთმა მოავლინა თავისი ძე მსგავსად ცოდვილი სხეულისა მსხვერპლად ცოდვებისათვის“– რომ.8,3.

ა. იესო ქრისტე იყო ჩასახული სულიწმიდის მიერ და იშვა ქალწული მარიამისაგან შეერთებული ღვთაებრივი ადამიანურ ბუნებრიობასთან.
„ვინაიდან მასში დამკვიდრებულია სხეულებრივად ღვთაების მთელი სისავსე“– კოლ. 2,9. „და უცილობლად დიდია ღვთისმოსაობის საიდუმლო; ღმერთი გამოჩნდა ხორციელად“– 1 ტიმ. 3,16. (რომ.1,3-4).
„მაშ ასე, თვით უფალი მოგცემთ თქვენ სასწაულს: აი, ქალწული მუცლად მიიღებს და შობავს ძეს, და დაარქმევენ მას ემანუელს“– ეს. 7,14.

„ანგელოზმა მიუგო პასუხად: სულიწმიდა მოვა შენს ზედა და უზენაესის ძალა დაგრჩდილავს, ამიტომ წმიდა შობილიც იწოდება ძე ღმერთისად“— ლუკ. 1,35 (მათ. 1,21), “დავითის ქალაქში თქვენ დაგებადათ მაცხოვარი, რომელიც არის ქრისტე უფალი“— ლუკ. 2,11.

14. ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტე არის შუამავლი ღმერთსა და ადამიანის შორის, იმისათვის, რომ შეარიგოს ადამიანი ღმერთთან,

„ერთია ღმერთი და ერთია ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავალი, კაცი ქრისტე იესო“— 1 ტიმ. 2,5.

„რათა მის მიერ შეერიგებინა თავისთან ყველაფერი, დაემშვიდებინა მის მიერ, მისი ჯვრის სისხლით, დედამიწაზე თუ ზეცაში“— კოლ. 1,20.

15. ჩვენ გვწამს, რომ ქრისტე მოკვდა ჩვენი ცოდვებისათვის, როგორც წერილშია, და რომ დაკრძალულ იქნა იგი და რომ აღდგა მესამე დღეს: როგორც წერილშია— 1 კორ. 15,3-4.

ქრისტე „მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენი გამართლებისათვის“ —რომ. 4,25 (საქ. 13,39; რომ. 5,18; ებრ. 9,11.26).

ა. ქრისტეს გამოსყიდვის მსხვერპლში მოხდა დაკმაყოფილება ღმერთის მართლმსაჯულებისა—

„ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა მასში გაეხდეთ ღმერთის სამართლიანობა“—2 კორ. 5.21.

„რამეთუ ისე შეიყვარა ღმერთმა ქვეყნიერება, რომ მისცა თავის მხოლოდშობილი ძე, ოათა ყოველი მისი მორწმუნე არ დაიღუპოს, არამედ ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე“— ინ. 3.16 (ინ.3,13; ლუკ. 19,10).

16. ჩვენ გვწამს, რომ ქრისტე ქვეყნიერების ერთადერთი გადამრჩენია:

„და არ არსებობს გადარჩენა არც ერთ სხვაში, არც არის ცის ქვეშ ხალხისათვის მიცემული სხვა სახელი, რომლითაც ჩვენ უნდა ვიქნეთ გადარჩენილნი“— საქ. 4,12. „ძე კაცისას დედამიწაზე აქვს ცოდვების მიტევების ძალაუფლება“—მათ. 9,6 (ინ. 4,42; 10,28; 1პეტ. 1,18-19; გალ. 1,4; 2,20; ეფს.5,2; 1 ტიმ. 2,6; ტიტ. 2,14; ებრ. 9,12).

17. ჩვენ გვწამს, რომ ჩვენი მხსნელი წარმოადგენს ღმერთის აღთქმულით ცხებულს — მესიას — ქრისტეს:

„ამრიგად მტკიცედ იცოდეთ მთელმა სახლეულმა ისრაელისამ, რომ ღმერთმა გახადა უფლად ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით“— საქ. 2,36.

„უფლის სულისი (Дух) არის ჩემზე, ვინაიდან მან მცხო გლახაკთა სახარებლად, წარმომგზავნა გულით დამწუხრებულთა განსაკურნებლად, ტყვეთა განთავისუფლებისა და ბრმათათვის თვალის ახელის საქადაგებლად, ჩაგრულთა თავისუფლად გასაშვებად, უფლის შეწყალების წლის საქადაგებლად“— ლუკ. 4,18-19.

18. ჩვენ გვწამს, რომ აღმდგარი იესო ქრისტე ამაღლდა ზეცაში, დაჯდა ღმერთის მარჯვნივ და არის შუამავლად ჩვენთვის ზეციური მამის წინაშე:

„ჩვენ გვყავს შუამავალი მამის წინაშე, იესო ქრისტე“— 1 ინ. 2,1.

19. ჩვენ გვწამს, რომ ძე ღმერთისამ დააფუძნა მადლის სამეფო და დიდება– (მათ. 16,28; ლუკ. 1,35; რომ. 14,17), **რომ იგი ამაღლდა ზეცაზე და რომ ისევ მოვა ძალითა და დიდებით გასასამართლებლად ცოცხლებისა და მკვდრების:**

„რადგან მამა არავის ასამართლებს, არამედ მთელი სასამართლო ძეს გადასცა“ – ინ. 5,22 (მათ. 24,30; ლუკ. 19,12; საქ. 1,11; ეამც. 10,11-16).

„ვინაიდან მან დანიშნა დღე, როდესაც მსოფლიოს გაასამართლებს სიმართლით წინასწარ დანიშნული კაცის საშუალებით, და დაუმოწმა ყველა იმით რომ აღადგინა იგი მკვდრეთით“– საქ. 17,31.

V სულიწმიდის შესახებ

20. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა, მოვლენილი წმიდა სამების სახით, გარდმოვლენილია მამის და ძის მიერ ზეციდან დედამიწაზე დღესა მეერგასესა (მე 50 თე):

„და მე მამას შევევედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგცემთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ“– ინ. 14,16-17.

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თქვენთვის უკეთესია, მე რომ წავიდე რამეთუ თუ არ წავალ, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან; და თუ წავალ, მე წარმოვგზავნი მას თქვენთან“– ინ. 16,7.

„ამგვარად მომაღლდა ღმერთის მარჯვნით, მამისაგან მიიღო სულიწმიდის აღთქმა და გადმოაფრქვია ის, რასაც თქვენ ხედავთ“–საქ. 2,33.

21. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა ფლობს ყველაფერს ღვთაებრივი თავისებურებით: –ყოვლის შემძლეობით, მის ძალას ეწოდება „ძალითა სულიწმიდისა“– რომ. 15,19. ყოვლისმჭვრეტელობით – „სულისი ჭვრეტს ყოველივეს ღმერთის სიღრმეებსაც“– 1 კორ. 2,10.

– ყოველგანყოფნით – „საით წაუვალ შენს სულს“– ფს. 138,7.

სიწმიდით – „ნუ დაანაღვლიანებთ ღმერთის სულიწმიდას“– ეფს. 4,30.

22. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა სრულყოფს ღვთაებრივ საქმეს და რომ იგი მონაწილეობდა შექმნაში:

„მიწა კი იყო უხილავი და ცარიელი, და სიბნელე იყო უფსკრულებზე; და სულისი ღმერთის იქცეოდა წყლებზე“– დაბ. 1,2. წესრიგში მოიყვანა ყველაფერი ფს. 103,29-30.

ა. სულიწმიდის მობერვით(მოფენით) წინასწარმეტყველებსა და მოციქულებს:

„ვინაიდან წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულიწმიდის მიერ ამოქმედებულნი, წარმოთქვამდნენ მას ღმერთისაგან“– 1პეტ. 1,21.

23. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა წარმოგზავნილია: ქრისტეს დამოწმებისათვის – საქ. 2,33.

„როცა მოვა ნუგეშისმცემელი, – რომელსაც მე წარმოვგზავნი მამისაგან, – ჭეშმარიტების სულისი(Дух), მამისაგან რომ მომდინარეობს, ის დაამოწმებს ჩემს შესახებ“– ინ. 15,26(ინ. 16,7).

ა. განდიდება იესო ქრისტესი: „იგი განმადიდებს მე“ – ინ. 16,14.

ბ. ეკლესიის შენება – სხეული ქრისტესი

„ეკლესია კი... სულიწმიდის ნუგეშისცემით მრავლდებოდა“ – საქ. 9,31 (საქ. 20,28; 1 კორ. 12,4-7; ეფს. 2,21-22).

გ. მხილება ცოდვებისა: „ის მოვა, ამხილებს ქვეყნიერებას ცოდვის შესახებ, სიმართლისა და სასამართლოს შესახებ“ – ინ. 16,8.

დ. მორწმუნეების სულისიერად აღზრდა: „რომ მოგცეთ ძალა თავისი დიდების სიმდიდრით მისი სულისით შინაგან კაცში განსამტკიცებლად, რათა შეძლოთ ყველა წმიდანთან ერთად ჩასწვდეთ, რა არის სიგანე და სიგრძე და სიმაღლე და სიღრმე, და შემეცნებაზე აღმატებული ქრისტეს სიყვარულის შესაცნობად, რათა აღივსოთ სულისი (Дух) ღვთიური სისავსით„ – ეფს. 3,16. 18-19. „ასეთი იყო ზოგიერთი თქვენთაგანი; მაგრამ განიბანეთ, მაგრამ წმიდად გახდით, მაგრამ გამართლდით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით“ – 1 კორ. 6,11 (რომ. 8,13-14; 2 კორ. 3,17-18; 2 ტიმ. 1,7).

24. **ჩვენ გვწამს, რომ მორწმუნენი ქრისტესი დაბეჭდილნი არიან სულიწმიდით:** „მასში ხართ თქვენც, ვინც მოისმინეთ ჭეშმარიტების სიტყვა, თქვენი გადარჩენის სახარება, და იგი იწამეთ და დაიბეჭდეთ აღთქმული სულიწმიდით„ – ეფს. 1,13 (1 კორ. 3,16; 6,19; ეფს. 4,30).

25. **ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა არაერთგზით აღავსებს სულიწმიდით მონათლულების გულებს:** „და როცა ლოცულობდნენ, შეიძრა ის ადგილი, სადაც ისინი იყვნენ შეკრებილნი, ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და გაბედულად ლაპარაკობდნენ ღმერთის სიტყვას“ – საქ. 4,31.

„ნუ დათვრებით ღვინით, რომელშიც აღვირახსნილობაა, არამედ აღიესეთ სულისით (духом,)“ – ეფს. 5,18 (საქ. 2,4; 4,8; 6,3; 9,17; 13,9).

26. **ჩვენ გვწამს, რომ ქრისტეს სხეულის ასოები უნდა იყვნენ სულიწმიდით მონათლულები:** „ვინაიდან ყველანი ერთი სულიწმიდით მოვინათლეთ ერთ სხეულად – იუდეველები თუ ბერძნები, მონები თუ თავისუფლები, და ყველას ერთი სულისი გვისვამს„ – 1 კორ. 12,13 (ინ. 7,37-39; 14,16-17; საქ. 1,5; 2,1-12).

ა. სულიწმიდით ნათლობის ნიშნები: „სჯულში წერია: სხვა ენებით და სხვა ბაგეებით დაველაპარაკები ამ ხალხს, და მაინც არ მომისმენენ მე, ამბობს უფალი“ – 1 კორ. 14,21 (ეს. 28,11).

ბ. ენებით ლაპარაკი: „რამეთუ უსმენდნენ მათ, რომ ლაპარაკობდნენ ენებით და ადიდებდნენ ღმერთს“ – საქ. 10,46 (საქ. 19,6; 1 კორ. 14,13-15.39). „და მოევლინათ მათ გაყოფილი ენები“ – საქ. 2,3-4.

27. **ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდის მეშვეობით ღმერთი გვიბოძებს მორწმუნეებს ძალას იესო ქრისტეზე დასამოწმებლად:**

„რადგან თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც მოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში და მთელ იუდეასა და სამარიაში და დედამიწის კიდემდე“ – საქ. 1,8 (საქ. 2,4-11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩემი სიტყვა და ჩემი ქადაგება სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით კი არ იყო, არამედ სულისის და ძალის გამოცხადებით“– 1 კორ. 2,4.

28. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა ასწავლის, ხელმძღვანელობს, წრთვნის, ამხილებს, ამხნევებს და ანუგეშებს მორწმუნეებს:

„ნუგეშისმცემელი კი სულიწმიდა, რომელსაც ჩემი სახელით წარმოგზავნის მამა, ყველაფერს გაგახსენებთ, რაც თქვენთვის მითქვამს“– ინ. 14,26.

„ხოლო ჩვენ მივიღეთ არა წუთისოფლის სულისი (Дух), არამედ სულისი ღმერთისაგან ჩვენთვის მონიჭებული, და ამას ვლაპარაკობთ არა ადამიანთა სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდისაგან შესწავლილით, სულისიერს სულისიერად განვმარტავთ“– 1 კორ. 2,12-13 (ინ. 16,13; საქ. 8,29; 13,2; 16,6-7; 1 ინ. 2,20-27).

ა. სულიწმიდა უბოძებს უნარს ნაყოფის მოსატანად:

„ხოლო სულისიერი ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმშვიდე, თავშეკავება“– გალ. 5,22-23 (ეფს. 5,9).

ბ. სულიწმიდა ეხმარება მორწმუნეს ღმერთთან და მოყვასთან ურთიერთობაში ყოფნას: „უფალი იესო ქრისტეს მადლი, ღმერთის სიყვარული, სულიწმიდის ზიარება ყველა თქვენგანს“– 2 კორ. 13,13.

„ჩვენ რომ მასში ვრჩებით და ის – ჩვენში, იმით გავიგებთ, რომ თავისი სულისიდგან მოგვცა ძან“– 1 ინ. 4,13.

გ. სულიწმიდა გვამაგრებს ჩვენს უძლურებაში და შუამდგომლობს ჩვენთვის:

„ასევე სულისიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორც შეეფერება, არამედ თვით სულისი შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი ოხვრით“– რომ. 8,26.

29. ჩვენ გვწამს, რომ სულიწმიდა არიგებს მსახურების მადლის ნიჭებს ღმერთის შვილებზე, როგორც მას ნებავს, სასარგებლოდ:

„და თვითეულს ეძლევა სულისის გამოვლინება სასარგებლოდ: ერთს სულისით ეძლევა სიბრძნის სიტყვა, ხოლო მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულისით; ზოგს რწმენა – იმავე სულისით და ზოგს – განკურნებათა ნიჭი იმავე სულისით; ზოგს სასწაულთმოქმედება, ზოგს წინასწარმეტყველება, ზოგს სულისების გარჩევა, ზოგს სხვადასხვა ენები, ზოგს ენების განმარტება. ხოლო ყოველივე, ამას აკეთებს ერთი და იგივე სულისი, რომელიც ყოველს უნაწილებს განცალკევებით, როგორც ნებავს“– 1 კორ. 12,7-11 (1 კორ. 12,28.)

ა. ჩვენ გვწამს, რომ ყველა სულიწმიდის ნიჭი ეძლევა ეკლესიის ასაშენებლად; ჩვენი ცხოვრების გატარება ღმერთის ხელმძღვანელობით მშვიდობა და თანხმობაში და ერთობლივი შრომისათვის სახარების ქადაგების საქმეში, სულისიერად აღზრდისათვის, განწმედისათვის და ერთიანობის მიღწევისათვის ქრისტეში.

VI ადამიანის შესახებ

ადამიანის შექმნა და ცოდვით დაცემა

30. ჩვენ გვწამს, რომ ადამიანი შექმნილია ღმერთის მიერ:
"მე წარმოვქმენი დედამიწა და შევქმენი ადამიანი მასზე"– ეს. 45,12.
„ერთიდან შექმნა ადამიანთა ყველა ერი, დედამიწის ზურგზე დასამკვიდრებლად, დააწესა მათი დამკვიდრების წინასწარგანსაზღვრული დრო და საზღვრები"– საქ. 17,26 (ეს. 45,12);

ა. ადამიანი შექმნილია ღმერთის სახიერებითა და მსგავსებით:
„და შექმნა ღმერთმა ადამიანი ღმერთის სახიერებით შექმნა იგი; მამაკაცი და დედაკაცი შექმნა იგინი"– დაბ. 1,27 (დაბ. 1,26; 2,7; 5,1; ეკლ. 7,26).

ბ. ღმერთმა მისცა ადამიანს სიბრძნე და ძალა ქვეყნიერების გარემოცვეულობის მფლობელობისათვის:
„და აკურთხა ისინი ღმერთმა, და უთხრა: განაყოფიერდით, და აავსეთ დედამიწა, და უფლობდეთ მათზე, და ბატონობდეთ ზღვის თევზებზე, და ცის ფრინველებზე, და ყოველ ცხოველზე ქვეწარმავლებისა დედამიწაზე"– დაბ. 1,28. „და მოიყვანა უფალმა ღმერთმა ადამიანი, და დაასახლა იგი ედემის ბაღში, რომ დაამუშავოს და დაიცვას იგი"– დაბ. 2,15.
„გააბატონე იგი შენი ხელის ნამოქმედარზე; ყოველივე მას დაუმორჩილე"– ფს. 8,7.

გ. ღმერთმა ადამიანს აჩუქა თავისუფალი ნებისყოფა: ამისათვის ადამიანს შეუძლია ნებაყოფლობით წავიდეს ღმერთისადმი მორჩილების ანდა ურჩობის გზით: "და ამცნო უფალმა ადამს და უთხრა: ბაღის ყოველი ხილისგან შეგიძლია ჭამო. და ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არ ჭამო მისგან,, რამეთუ იმ დღეს, რომელსაც შეჭამ მისგან, სიკვდილით მოკვდები"– დაბ. 2,16-17. „ამოირჩიეთ თქვენთვის დღეს, ვის ემსახუროთ... მე კი ჩემი სახლეულით ვემსახურები უფალს"– ისუ ნ. 24,15.
„ასე აბბობს უფალი: აი მე გთავაზობთ თქვენ გზას სიცოცხლისას და გზას სიკვდილისას"– იერ. 21,8 (2 შჯ. 30,19).

დ. ადამიანმა აირჩია ღმერთის მიმართ ურჩობის გზა და ჩავარდა განსაცდელში ეშმაკისაგან: შესცოდა თავის შექმნელი ღმერთის მიმართ და ამით თავისთავს დაატეხა სასჯელი:
„და უთხრა: ვინ გითხრა, რომ შიშველი ხარ? იმ ხილისაგან ხომ არ ჭამე, რომლის ჭამაც მე აგიკრძალე?"– დაბ. 3,11; ეკლ. 7,29. ძნელი სასჯელი მისწვდა ადამიანს: ნაცვლად სამოთხის ნეტარებისა მან მიიღო უბედურება და სატანჯველი – დაბ. 3,16-19, ნაცვლად უკვდავებისა – სულისიერის და სხეულებრივის სიკვდილი, „ვინაიდან ცოდვის საზღაური – სიკვდილია რომ.6,23.

ე. ადამის მიერ ცოდვათა დაცემით, მთელ კაცობრიობას დაემკვიდრა ცოდვა და სიკვდილი: „ამიტომ, როგორც ერთი ადამიანის მიერ ცოდვა შემოვიდა ქვეყნიერებაზე, ხოლო ცოდვის მიერ – სიკვდილი, ასევე სიკვდილი მისწვდა ყველა ადამიანს, იმიტომ, რომ ყველამ შესცოდა"– რომ. 5,12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. ცოდვამ განაშორა ადამიანი ღმერთისაგან: „მაგრამ თქვენმა უსჯულოებამ მოახდინეს ჩვენსა და ღმერთს შორის განშორება, და თქვენი ცოდვები აშორებს ღმერთის სახეს თქვენგან“– ეს. 59,2.

ადამიანთა გამოსყიდვა

31. ჩვენ გვწამს, რომ ცოდვის ძალაუფლების ქვეშ მცხოვრებ, ადამიანთა გამოსყიდვა მოხდა გამოსყიდვის მსხვერპლის წყალობით ღმერთის მხოლოდშობილი ძის იესო ქრისტეს გოლგოთაზე ჯვარცმით:

„არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ თავისი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდაიში და ჰპოვა საუკუნო გამოსყიდვა“– ებრ. 9,12.

„ძე კაცისა არ მოსულა იმისათვის, რომ მას მოემსახურონ, არამედ თვითონ მოემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად“– მათ. 20, 28 (ეს. 53,4-7; საქ. 4,10-12; 1პეტ. 1,18-19).

ა. იესო ქრისტემ ბოლომდე აღასრულა ნება-სურვილი თავის ზეციური მამის ნებაყოფლობით მიიღო ჯვარცმით სიკვდილი ადამიანთა მოდგმის გამოსასყიდად:

„დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, და ჯვარცმით სიკვდილამდე“– ფილ. 2,8.

„რადგან, ზეციდან ჩემი ნების საქმნელად კი არ ჩამოვედი, არამედ მისი ნების, ვინც მე წარმომგზავნა“– ინ. 6,38 (ინ. 10,17-18; ებრ. 2,14-15).

„რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონვე აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა სიმართლისათვის ვიცოცხლოთ ცოდვისათვის მკვდრებმა. მისი ჭრილობით თქვენ განიკურნეთ“– 1პეტ. 2,24 (ებრ. 9,11-15).

ბ. ღმერთი სთავაზობს ყოველ ადამიანს გამოსყიდვის ნიჭს, აღსრულებულს იესო ქრისტეს მიერ:

„ჩემი მამის ნება ისაა, რომ ყოველს, ძის მხილველს და მის მორწმუნეს საუკუნო სიცოცხლე ჰქონდეს, და მე აღვადგენ მას უკანასკნელ დღეს“–ინ. 6,40.

„ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი“– ტიტ.2,11 (მათ. 20,30; 18,11; 2პეტ. 3,9; 1ტიმ. 2,4).

გ. მაგრამ ადამიანზეა დამოკიდებული: მიიღოს რწმენით შეთავაზებული ყველასათვის გადარჩენა და საუკუნო სიცოცხლე თუ უარყოს:

„ვინც ირწმუნებს და მოინანიებს, გადარჩება, ხოლო, ვინც არ იწამებს, მსჯავრდადებული იქნება“– მარ. 16,16.

„მე სინათლე მოვედი ქვეყნიერებაზე, რათა არც ერთი, რომელსაც მე ვწამვარ, არ დარჩეს სიბნელეში. და ვისაც ესმის ჩემი სიტყვები და არ იცავს, მე არ ვასამართლებ მას, რადგან მე ქვეყნიერების გასასამართლებლად კი არა, არამედ ქვეყნიერების გადასარჩენად მოვედი. მას, ვინც უარმყოფს და არ მიიღებს ჩემს სიტყვებს, ჰყავს მოსამართლე, სიტყვა, რომელიც წარმოვთქვი, ის გაასამართლებს მას უკანასკნელ დღეს“– ინ. 12,46-48 (ინ. 3,18; 5,39-40; ებრ. 10,38).

რ წ მ ე ნ ა

32. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთმა თავისი მარადიული მადლით მისცა ადამიანს რწმენა თავის შემეცნების საშუალებით:

„ეს რომ მოისმინეს, გულზე მოხვდათ და უთხრეს პეტრეს და დანარჩენ მოციქულებს: როგორ მოვიქცეთ, კაცნო ძმანო?“– საქ. 2,37-41.

„მაგრამ როგორ მოუხმონ მას, ვინც არ იწამეს, როგორ ირწმუნონ, ვის შესახებაც არ სმენიათ? როგორ ისმინონ მქადაგებლის გარეშე?“– რომ. 10,14 (საქ. 4,4; 16,14; 17,11-12).

33. ჩვენ გვწამს, რომ იესო ქრისტეს რწმენით გამოსყიდვის მსხვერპლით: ადამიანი ღებულობს გადარჩნას და საუკუნო სიცოცხლეს:

„ვინც ჩემს სიტყვას ისმენს და ჩემი წარმომგზავნელი სწამს, მას აქვს საუკუნო სიცოცხლე და სასამართლოზე არ მიდის, რადგან სიკვდილიდან სიცოცხლეში გადავიდა“– ინ. 5,24. „ყველა, ვისაც იგი სწამს, მისი სახელით მიიღებს ცოდვების მიტევებას“– საქ. 10,43.

„ეს მოგწერეთ თქვენ, ძე ღმერთისას სახელის მორწმუნენო, რათა იცოდეთ, რომ გაქვთ საუკუნო სიცოცხლე“– 1ინ. 5,13 (ეფს. 2,8; ტიტ. 2,11-14).

ა. რწმენას მიჰყავს ადამიანი ღმერთთან სრული ნდობით:

„ვინაიდან ვიცი ვინ ვიწამე, და მწამს, რომ მას ძალუძს შეინახოს ჩემი საწინდარი იმ დღისათვის“– 2ტიმ. 1,12 (რომ. 4,18-24; ებრ. 11,8.17.24-27).

34. ჩვენ გვწამს, რომ ჰეშმარიტი რწმენის დადასტურებით არის იესო ქრისტეს აღიარება უფლად და გადამრჩენლად:

„თომამ უთხრა პასუხად: უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო“– ინ. 20,28.

„იმიტომ, რომ თუ შენი პირით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო პირით აღიარებენ გადასარჩენად“– რომ. 10, 9-10 (მათ. 10,32-33; 28,18-20; ლუკ. 12,8-9).

ა. რამეთუ ჰეშმარიტ რწმენას ამოწმებენ აგრეთვე კეთილი საქმეებით:

„ჩემო ძმებო, რა სარგებელია, თუ ვინმე იტყვის, რწმენა აქვს, საქმე კი არ გააჩნია? განა ამ რწმენას შეუძლია მისი გადარჩენა?“– იაკ. 2,14.

„ვინაიდან ქრისტეში ძალა არა აქვს არც წინდაცვეთას, არც წინდაუცვეთლობას, არამედ სიყვარულით მოქმედ რწმენას“– გალ. 5,6.

მ ო ნ ა ნ ი ე ბ ა, მ ო ქ ც ე ვ ა და ა ღ მ ო შ ო ბ ა

35. ჩვენ გვწამას, რომ მონანიება და მოქცევა არის ღმერთის წინაშე თავისი დანაშაულის შეგნება ცოდვების მისატევებლად და წინანდელი ცხოვრების სახის დატოვება:

„თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, ის ერთგულია და მართალი, რათა მოგვიტევოს ცოდვები გაგვწმინდოს ყოველგვარი უმართლობისაგან“– 1ინ. 1,9 (ლუკ. 7,48). „ხოლო პეტრემ უთხრა მათ: მოინანიეთ, და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს“– საქ. 2,37-38.

„განა მე მინდა სიკვდილი უსჯულოსი? ამბობს ღმერთი. განა ის არა? რომ მოიქცეს თავის გზიდან და იყოს ცოცხალი?“– ეზკ. 18,23.
„და დატოვოს უწმინდურმა თავისი უსჯულოების გზა და კაცმა თავისი განზრახვა, და მოიქცეს ღმერთისაკენ, და იგი მას შეიწყალებს, და ჩვენი ღმერთი მიუტევებს, რამეთუ იგი მრავალმოწყალეა“– ეს. 55,7.
„მაშ მოინანიეთ და მოიქეცით, რათა წაიშალოს თქვენი ცოდვები“–საქ.3,19.

36. ჩვენ გვწამს: რომ აღმოშობა არის ადამიანის მიღება ღმერთისაგან ახალი სულისიერი (духовный) ბუნება ისე: რომ ადამიანი ხდება ახალი ქმნილება: ჭეშმარიტად გეუბნები შენ, თუ ვინმე მაღლიდან არ იშობა, ვერ შეძლებს ღმერთის სასუფევლის ხილვას“– იოან. 3,3-6.
„მაშასადამე, ის ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა; ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია“– 2 კორ. 5,17 (ეფს. 2,5-6.14; კოლ.2,13; ეზკ.36,26-27.

37. ჩვენ გვწამს, რომ დამოწმებით აღმოშობა არის უმწიკვლო ქრისტიანული სიცოცხლე და გამუდმებით სულისიერად ზრდა:
„მათი ნაყოფით იცნობთ მათ“– მათ. 7,16 (ინ. 13,35; 2პეტ.1,5-8; გალ.5,22-24).
„აღმოშობილი ადამიანისთვის იესო ხდება უფლად – 1 კორ.12,3. წინამძღვრად და ხელმწიფედ – 2 ტიმ.2,21
გამოჩნდება სიძულვილი ცოდვის მიმართ და სწრაფვა წინააღუდგეს ყოველ -ცდუნებას – ეფს. 6,11-17; ფს. 96,10. გამოიცდება ურთიერთობის წყურვილი იესო ქრისტესთან ლოცვითა და წაკითხვით ღმერთი სიტყვისა – ეფს.3,16-19, სიყვარული ეკლესიის და ღმერთის შვილების – 1პეტ.1,22-23; 1ინ. 5,1; 3, 14; 4,7-12; ისწრაფის შეასრულოს ნება ღმერთის და ემსგავსება ყველაფერში ქრისტეს – რომ.8,29; ინ. 10,27-28. აღმოშობილებს აქვთ მოწმობა თავისში, სიტყვა ღმერთისა და სულიწმიდა, რომ ისინი ღმერთის შვილები არიან, და მემკვიდრენი საუკუნო სიცოცხლისა – 1ინ.5,9-13; რომ.8,16-17; გალ. 4,7; ეფს. 2,19.

გამართლება და შვილად აყვანა

38. ჩვენ გვწამს, რომ გამართლება არის მადლი ღმერთისა რწმენის მეშვეობით იესო ქრისტეში. გამრთლება ანთავისუფლებს აღმოშობილ სულს დანაშულის გრძნობისაგან და შიშისაგან ბრალდებაზე ცოდვის გამო, იმიტომ რომ ქრისტემ აიღო თავისთავზე ჩვენი დანაშაული და ჩვენი სასჯელი.
„და უსასყიდლოდ მართლდებიან მისი მადლით ქრისტე იესოს მიერ გამოსყიდვით, რომელიც წინასწარ განამზადა ღმერთმა მისი სისხლით, რწმენის მეშვეობით შესაწყალებელ მსხვერპლად, რათა გამოჩენილიყო მისი სიმართლე ცოდვების მიტევებით, რომლებიც ჩადენილი იყო უწინ“– რომ. 3,24-25.
„რომელიც მიეცა ჩვენი ცოდვებისათვის და აღდგა ჩვენი გამართლებისათვის“– რომ. 4,25. „
„ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავრჩებით მისით რისხვისაგან“ – რომ.5,9. „რწმენით მართლდება კაცი, სჯულის საქმეების დამოუკიდებლად“– რომ. 3,28 (რომ. 5,8-9; გალ. 2,16).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ“– რომ. 5,1. „ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახდა ცოდვად ჩვენს გამო, რათა მასში გავხდეთ ღმერთის მართალნი“– 2 კორ.5,21. „ვინ გაამტყუნებს ღმერთის რჩეულებს? ღმერთი არის გამმართლებელი“– რომ. 8,33.

39. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი თავის დიდი სიყვარულით: არა მარტო მიუტევებს მომნანიებლებს ცოდვებისაგან: არამედ აგრეთვე იშვილებს მათ და შეჰყავს ღმერთის ოჯახში:

„ნახეთ რამდენი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვერქვას ღმერთის შვილნი“– 1 ინ. 3,1. „ხოლო ყველას, ვინც მიიღო იგი, მისი სახელის მორწმუნეს, მიეცა ძალაუფლება გამხდარიყვნენ ღმერთის შვილები, რომლებიც არც სისხლისაგან, არც ხორცის ნდომისაგან, არც მამაკაცის ნდომისაგან, არამედ ღმერთისაგან იშვნენ“– ინ. 1,12-13.

ყველა, ვინც მიიღო შვილად აყვანა, ხდებიან ღმერთის განსაკუთრებული სიყვარულისა და მისი მამობრივი ზრუნვის საგნად. „მე მათში შენ კი ჩემში, რათა იყვნენ სრულყოფილნი ერთში და რათა იცოდეს ქვეყნიერებამ, რომ შენ მე წარმომგზავნე და შეიყვარე ისინი ისე, როგორც მე შემიყვარე. მამაო, მსურს, რომ სადაც მე ვარ, იქ იყვნენ ჩემთან ისინი, რომლებიც შენ მომეცი, რათა ნახონ ჩემი დიდება, რომელიც შენ მომეცი, იმიტომ, რომ შემიყვარე ქვეყნიერების დაარსების წინ“– ინ. 17,23-24 (ეს. 49,14-16; მათ. 6,25-34; ლუკ. 12,27-33; ინ. 10,27-30; ფილ. 4,6).

ღმერთის შვილები სარგებლობენ უფლებებით სამკვიდროსა და ყველაფერზე, რასაც კი ფლობს ზეციერი მამა – იონ. 8,35; ლუკ. 15,31; რომ.8,16-17; ეფს. 2,19; 1 პეტ. 1,4.

გ ა ნ წ მ ე დ ა

40. ჩვენ გვწამს, რომ განწმედა არის შედეგი ცოდვილების გამართლებისა რწმენის მეშვეობით იესო ქრისტეში:

„რომელიც გახდა ჩვენთვის სიბრძნედ ღმერთისაგან, სიმართლედ, განწმედად და გამოსყივად“– 1 კორ. 1,30. განწმედა წარმოადგენს შინაგან პროცესს, სრულსაყოფად სულიწმიდის მოქმედებით ზნეობრივად და სულისიერად მისაღწევად.

41. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთის შვილები აღმოშობის დღეს ღებულობენ განწმედას ქრისტეს სისხლით და სულიწმიდით:

„ამ ნებით ვართ ჩვენ განწმედილნი იესო ქრისტეს სხეულის ერთგზის შეწირვით. ვინაიდან მან ერთი შეწირვით სრულყოფილი გახადა ისინი, რომელნიც წმიდავდებიან“– ებრ. 10,10-14 (1 პეტ. 1,1-2; 2,2.9; რომ, 1,7; 1 კორ. 1,2; 6,11; 2 თეს. 2,13). მაგრამ „ძველ“ სხეულში მყოფთ მაინც ესაჭიროებათ შემდგომი გატწმედა: „წმიდანი კვლავ წმიდავდებოდეს“– გამც. 22,11.

42. ჩვენ გვწამს, რომ განწმედილ მორწმუნე ადამიანზე განსაკუთრებულად ზრუნავს ღმერთი:
„ღმერთი იქმს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც თავისი სათნოებით“ – ფილ. 2,13 „რათა პატივისცემით წარიდგინოს თავისთვის დიდებულ ეკლესიად, რომელშიც არ არის ლაქა ან მანკი, ან რაიმე მსგავსი, არამედ იმისათვის, რომ იგი იყოს წმიდა და უბიწო“– ეფს. 5,27.
„და თვითონ მშვიდობის ღმერთმა წმიდა გყოთ თქვენ მთლიანად“– 1 თეს. 5, 23 (2 კორ. 3,18; ფილ. 3,10-15; ეფს. 3,10-20; 1 თეს. 3,12-13).

43. ჩვენ გვწამს, რომ მიზანი განწმედის არის : – სრული განთავისუფლება ცოდვებისაგან:
„რომელმაც თავი დასდო ჩვენთვის, რომ გამოვეხსნიდეთ ყოველგვარი უსჯულოებისაგან და განეწმიდა თავისთვის განსაკუთრებული ხალხი, კეთილი საქმეების მოშურნე“–ტიტ. 2,14 (ინ. 5,14; 8,11; 2 პეტ. 3,14; რომ. 6,2.6-11; ფილ. 2,15).

ა. მიძღვნა იესო ქრისტეს: „ანდა , ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდისა, რომელიც ღმერთისაგან გაქვთ და რომ თქვენ თავს არ ეკუთვნით? 1 კორ. 6,19-20, „და ქრისტე კი ყველასათვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ მისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა“– 2 კორ. 5,15 (რომ. 8,5-9).

ბ. გარდაქმნა იესო ქრისტეს გამოსახულებით:
„ჩვენ კი ყველანი ახდილი სახით ვხედავთ უფლის დიდებას, როგორც სარკეში და გარდავისახებით იმავე სახედ დიდებიდან დიდებაში, როგორც უფლის სულისისგან“- 2 კორ. 3,18.
რამეთუ. აზრები, რაც ქრისტეშია, იყოს თქვენშიც“-ფილ. 2,5 (1 ინ. 2,6; რომ. 8,29; ეფს. 4,13; კოლ. 3,10-11).

44. ჩვენ გვწამს, რომ დედამიწაზე შეიძლება მიღწევა გაწმენდისა და განწმედისა: ამიტომ ჩემო საყვარელნო, როცა ასეთი აღთქმანი გვაქვს, გავიწმინდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისაგან, ღმერთის მოშიშობით აღვასრულოთ სიწმიდე“– 2 კორ. 7,1 (ეფს. 4,11; 5,27 კოლ. 2,10).

ა. მიძღვნილ მორწმუნე ადამიანს ეხმარება: – გამოკვლევა და გამოძიება ღმერთის სიტყვისა
„გამოიძიეთ წერილებში, რადგან გგონიათ, რომ მათში საუკუნო სიცოცხლე გაქვთ. ისინი კი ჩემს შესახებ ამბობენ“– ინ. 5,39.
„ამიტომ, მოიშორეთ ყოველგვარი უწმინდურება ბოროტების ნაშთი და მშვიდად მიიღეთ თქვენში ჩანერგილი სიტყვა, რომელსაც თქვენი სულების გადარჩენა შეუძლია. იყავით სიტყვის შემსრულებელნი და არა მხოლოდ მომსმენი თავის მოსატყუებლად“– იაკ. 1,21-22 (კოლ. 3,12; 1 ტიმ. 4,12-16).

ბ. გამუდმებით გულმოდგინედ ლოცვა

„რომ საჭიროა ყოველთვის ილოცონ და არ მოიწყინონ“ – ლუკ. 18,1 (მთ. 17, 21; 26,41; ლუკ. 21,36; იაკ 5 16; ეფს. 6,18; 1 თეს. 5,17; 1 ტიმ. 2,1-3.8),

„იფხიზლეთ და ილოცეთ, რომ არ ჩავარდეთ განსაცდელში. სული მხნეა, ხოლო ხორცი უძლური“ – მათ. 26,41.

გ. მუდმივი ურთიერთობა ღმერთის შვილებთან

„ხოლო თუ სინათლეში დავდივართ, როგორც ის არის სინათლეში, მაშინ მოზიარება გვაქვს ერთმანეთთან და მისი ძის იესო ქრისტეს სისხლი გვწმენდს ყოველგვარი ცოდვებისაგან“ – 1 ინ. 1,7 (საქ. 2,42; 1 კორ. 1,9; 10,16-17).

დ. საკუთარი თავის მთლიანად გადაცემა ღმერთისადმი:

„მათ საკუთარი თავი მისცეს ჯერ უფალს“ – 2 კორ. 8,5 (2 ნმტ. 17,17; რომ. 6, 16-18).

45. ჩვენ გვწამს, რომ მთლიანი გამოხსნა წმიდანების მოხდება – სხეულის გარდაქმნით დიდებაში:

„ვინაიდან დაჰკრავს ბუკი და მკვდრები აღდგებიან უხრწნელად, ხოლო ჩვენ ყველანი შევიცვლებით“ – 1 კორ. 15,52. „და ვიცით, რომ როცა გამოჩნდება, მისი მსგავსი ვიქნებით, რამეთუ ვიხილავთ მას, როგორიც არის“ – 1 ინ. 3,2. „და როგორც ვატარებთ მიწიერ ხატებას, ისევე ვატარებთ ზეციერ ხატებას“ – 1 კორ. 15,49 (გამც. 19,7-8; 20, 6; 22,3).

ლ ო ც ვ ა

46. ჩვენ გვწამს, რომ ლოცვა არის, ღმერთსა და ადამიანის ურთიერთ დამოკიდებულების საშუალება – იერ. 29,12. გოლგოთაზე იესო ქრისტეს მიერ აღსრულების შედეგია გადარჩენა ყოველი ცოდვილისათვის, ყოველი გამოსყიდული ღებულობს უფლებას მოიქცეს ზეციურ მამისაკენ მაცხოვრის მიერ, გაუხსნას ყველა თავისი სურვილი.

„ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც სთხოვთ მამას ჩემი სახელით მოგცემთ თქვენ“ – ინ. 16,23. „არაფერზე იზრუნოთ, მხოლოდ ლოცვაში და ვედრებაში მადლიერებით აუწყეთ თქვენი სურვილი ღმერთს“ – ფილ. 4,6. „მომიხმე მე – და მე გიპასუხებ შენ“ – იერ. 33,3 (ფს. 49,15; მათ. 6,9-13; ლუკ. 11,1-4; 18,1; რომ. 8,15; გალ. 4,6).

ა. ბიბლია ამბობს სამი სახის ლოცვაზე: მადლობა, თხოვნა დაშუამდგომლობა. „ახლ კი უწინარეს ყოვლისა, შეგახსენებთ შეასრულოთ ლოცვანი, შუამდგომლობანი და მადლობანი ყველა ადამიანისათვის, მეფეებისა და ყველა მბრძანებლისათვის, რათა მშვიდობიანად და წყნარად ვიცხოვროთ სრული ღვთისმოსაობით და პატიოსნებით“ – 1 ტიმ. 2,1-2.

ბ, მადლობა, ურთიერთობა და თაყვანისცემა ღმერთისადმი უნდა ხდებოდეს მთელი შეგნებით უფლის თანდასწრებით:

„შენ კი, როცა ლოცულობ შედი შენს ოთახში, დაკეტე შენი კარი, ილოცე დაფარულში მყოფ შენი მამისადმი; და შენი მამა, რომელიც ხედავს დაფარულში, მოგიზღავს შენ“ – მათ. 6,6.

დაფარული ლოცვით, იესო ქრისტეს სახელით შეგვიძლია ავუხსნათ მთელი ჩვენი შეცოდებანი და ნაკლი, თხოვნა, ვედრება და ძალა შესასრულებლად უფლის ნებისა და წმიდა სვლა მის წინაშე.

„ცოდვა ჩემი გაუწყე და ბრალი ჩემი არ დამიმალავს და შენ მომიტევე დანაშაული ჩემი ცოდვისა“– ფს. 31,5 (ფს.50,3-14). ლოცვებში ჩვენ უნდა გამოვხატოთ თაყვანისცემა ღმერთის მიმართ სულისითა და ჭეშმარიტებით. „მაგრამ დგება ჟამი, და ახლა არის, როდესაც ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულისით და ჭეშმარიტებით, რადგან მამაც ასეთ თაყვანისმცემლებს ეძებს თავისთვის. ღმერთი არის სული , და რომლებიც თაყვანს სცემენ, თაყვანს უნდა სცემდნენ სულისითა და ჭეშმარიტებით“– ინ. 4,23-24. მადლობა და თაყვანისცემა ღმერთისადმი შეგვიძლია შევასრულოთ არა მარტო საიდუმლოდ, არამედ აგრეთვე ხმამაღლა წმიდათა კრებულში. „შენ შემოგწირავ ქება-დიდების მსხვერპლს, და ღმერთის სახელს მოვუხმობ. ჩემს აღთქმას უფლისადმი შევასრულებ მთელი მისი ხალხის წინაშე“– ფს. 115,8-9. „მადლობას გეტყვი დიდ კრებულში, მრავალრიცხოვან ხალხში ხოტბას შეგასხამ“– ფს. 34,18 (3მფ. 6,22-30; 21,26).

თ ხ ო ვ ნ ა

ლოცვით ჩვენ ვუხსნით ჩვენს სურვილებს მას, ვინც ასრულებს ჩვენს თხოვნას, რამეთუ იგი შეგვპირდა გვიპასუხოს ლოცვაზე მომხმობს მისდამი: „და მომიხმე მე გაჭირვების დღეს; გადაგარჩენ და შენ განმადიდებ“– ფს. 49,15 (ზაქ. 13,9; მათ. 7,7; ლუკ. 11,9.10; ფილ. 4,6).

შ უ ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ა

47. ჩვენ გვწამს, რომ შეგვიძლია ვილოცოთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ აგრეთვე სხვისთვისაც.

ეკლესიის მსახურებისთვის, სახარების გავრცელებისათვის, ყველა წმიდანებისათვის, ნათესავებისათვის, ტანჯულებისთვის, ავადმყოფებისთვის, მეგობრებისთვის და არა მეგობრებისთვის და აგრეთვე ჩვენი მტრებისათვისაც-დაბ.18,23-32; გამს. 23,4-5; მათ. 5,44-45; ლუკ.22, 32; 23,34; 1ინ.5,16; იაკ.5,14-16; 2თეს. 1,11; 3,1...

48. ჩვენ გვწამს, რომ ღმერთი ისმენს რწმენის გულწრფელ ლოცვას თუ არ ეწინააღმდეგებიან მის გეგმებს და მის წმიდა ნებას, მაშინ ასრულებს. „და აი რა გაბედულება გვაქვს მის მიმართ, რომ, როცა რამეს ვთხოვთ მის ნებისამებრ, იგი გვისმენს“– 1ინ, 3,21,22; 5,14. „ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რასაც თხოვთ მამას ჩემი სახელით, ძოგცემთ თქვენ„–იხ. 16,23 (მათ.11,24-25: ინ. 14,13-14; 15,7; ებრ.10,20; 11,6).

ა. განსაკუთრებული გარემოებისას შეუძლიათ ლოცვების დროს თავშეკავება საჭმელისაგან, ესე იგი მარხულობით – 1კორ. 7,5. ძველი აღთქმისას მარხულობა სრულდებოდა საზოგადოებრივი უბედურებისას და ღმერთის სამსჯავროს დროს – იობ 3,4-8; ეზკ. 8,21-23; იოველ 1,14; 2,12-15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტე ასწავლიდა მოწაფეებს, არ ყოფილიყვნენ მარხულობის დროს სევდიანი, როგორც პირმოთნენი – მათ. 6,16-18. მარხულობა არ იგულისხმება მარტო ლოცვაში, არამედ სათნოებაშიც. ქველმოქმედებაში:

„მოხსენი უსამართლობის ბორკილები, გაუხსენი აპეურები უღლისა, გაუყავ პური მშიერს და შევიწროვებული გაუშვი, გააუქმე ყოველგვარი დაჩაგვრა“– ეს.58,3-12; საქ. 7,3-10; მათ.5,23-24. მარხულობით ლოცვა აუცილებელია განსაკუთრებით კი მაღლიდან ძალის მისაღებად მათ.17,19-21; 2კორ. 6,4-5; 11,27 დიდ განსაცდელისას და მწუხარებისას მსჯ.20,26; 2მფ.1,12 ესთ.4,3; დან.10,2-3; ფს.34,13;68,11. ეკლესიისათვის მსახურების არჩევის დროს – საქ.13,2-3; 14,23.

თარგმანი

ფსალმუნი 23 (22)

საგალობელი დავითისა

1 უფალი ჩემი მწყემსია, მე არაფერი მომაკლდება.
2 ხასხასა მოლზე განმალაგებს და წყნარ წყლებზე მიძღვის მე.
3 ჩემს სულს ახალისებს, სიმართლის კვლებზე მიმართავს
თავის სახელის გულისათვის.
4 თუნდაც რომ სიკვდილის ხეობის ჩრდილში ვიარო,
ბოროტისა არ მეშინია; რამეთუ შენ ხარ ჩემთან;
მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი არგანი.
5 შენ მოაწყე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემ მტერთა თვალწინ,
ზეთი სცხე ჩემს თავს; აღავსე თასი ჩემი პირთამდე.
6 ასე, სიკეთე და წყალობა დამდევს კვალდაკვალ მთელი
სიცოცხლის მანძილზე და მე დავმკვიდრდები უფლის სახლში
დღეთა მრავალთა.

მამა-პაპების ტრადიციები

არიან რელიგიური ხალხი, სწამთ, რომ ღმერთი არსებობს და ამით ისინი თავისთავს თვლიან მორწმუნეებად და არ კითხულობენ და არ ეძიებენ მის გზას, არც ემორჩილებიან ღმერთის მიერ მოცემულ კანონებს. ასეთ ადამიანს რომ აუწყო ღმერთის სიტყვა, დაიწყებს თავის მართლებას, რომ იგი მორწმუნეა და თავის მამა-პაპის **გადმოცემებს** განაგრძობს, და სრულებით არ ფიქრობს, თუ რომელი პერიოდის მამა-პაპის რწმენას ატარებს და საკმარისად მიაჩნია უსარგებლო რელიგია, იმ დროს, როდესაც ცოდვებშია გახვეული. ასეთ რწმენას ბიბლია უწოდებს მკვდარს (იაკ. 2,17.20.26), როგორც საფრანგეთში მყოფ ერთს მივწერე, რომ ახალი აღთქმა გამეგზავნა დასარიგებლად ქართველებისთვის, მაგრამ სამწუხაროდ მან მიპასუხა: „მე პატრიოტი კაცი ვარ, ქართველი ქვეშევრდომობა არ დამიტოვებია და სექტანტობას არ დავწყებ“; ატარებს დოქტორის ხარისხს, არის ყოფილი ქართველი მთავრობის წევრი და აი ამნაირად მპასუხობს. ამის შემდეგ განიხილეთ თუ როგორი მთავრობის წევრები ჰყავდა ჩვენს ნეტარხსენებულ ნ. ჟორდანიას, ქრისტეს მცნებას სექტანტს უწოდებს, ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ ეს უბედურება დაგვატყდა, რადგან ქართული ისტორიის უვიცი ასეთი პირებიც იყვნენ, როგორც ერთი მთავრობის წევრთაგანი, საქართველოდან თურქეთის გზით ლტოლვილი ღამის გასათევად შეეხიზნა თურქეთის ერთ ოჯახს, სადაც დიასახლისი აღმოჩნდა მის მიერ მოპარული და გაყიდული გოგონა. „სირცხვილი“!

ჩვენი წინაპართა მამები იყვნენ კერპთაყვანისმცემლები, ისე, როგორც სხვა ერები მრავალნაირი რელიგიით, ცეცხლთაყვანისმცემლები, მზისა, მთვარისა და სხვა ჯადოსნური რელიგიის მიმდევარნი, მაგრამ როცა ქრისტეს მცნება შემოვიდა საქართველოში მოციქულებისა და წმიდა ნინოს ქადაგებით, ჩვენი, იმ დროის თაობის მამები იყვნენ გულისხმიერნი, გამოიჩინეს სიბრძნე, მიატოვეს თავიანთ მამა-პაპათა ბნელი ჩვეულებები და მოიქცნენ ქრისტესაკენ, როგორც წერილიც ამბობს: „იცით, რომ როდესაც წარმართები იყავით, უტყვ კერპებთან დაჰიოდით, თითქოს ვიღაც გეწეოდათ, როგორ შემობრუნდით კერპებიდან ღმერთისაკენ, რომ ემსახუროთ ცოცხალ და ჭეშმარიტ ღმერთს (1 კორ. 12,2; 1 თეს. 1,9; საქ. 26,18; ტიტ. 3,3-7), აი ჩვენმა მამა-პაპამ ასეთი ღვთაებრივი რწმენა მიიღეს და გახდნენ წმიდათა მონაწილენი, როგორც ნათქვამია: „თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, მეფური სამღვდელობა, წმიდა ერი, წილხვედრილი ხალხი, რათა აუწყოთ სათნოებანი სიბნელიდან თავის საკვირველ სინათლისაკენ თქვენი მომწოდებლისა, ოდესღაც ხალხი არ იყავით, ახლა კი ღმერთის ხალხი ხართ; ოდესღაც შეწყალებულნი არ იყავით, ახლა კი შეწყალებულნი ხართ“. (1 პეტ. 2,9-10; 2 პეტ. 1,3-4).

ასეთმა ცოცხალმა რწმენამ ააყვავა საქართველო, ხარობდა ერი, აღორძინდა კულტურა განვითარდა ენათმეცნიერება, ქრისტიანული კაცმოყვარეობა, ატარებდნენ სიყვარულის გამარჯვების დროშას, კაცთა მტრობა დაემხო და სამაგიეროდ კაცთა პატივისცემა გაიზარდა ხალხთა შორის. ამიტომ აკურთხევდა ღმერთი ქართველ ერს და შენდებოდა, ამრიგად საქართველო იყო

ღმერთის მადლით თავისთავის ბატონ-პატრონი, იესე როგორც წმიდა წერილში წერია: 2 შჯ.28,1-14.
მაგრამ, როდესაც განვითარდა, აქ სამწუხაროდ ბოროტმა ანტიქრისტემ თავისი ძუშაკების მეშვეობით თანდათანობით შემოიტანეს წარმართთა მოძღვრებანი, როგორც მოც. პავლემ იწინასწარმეტყველა„ აი, ვიცი, რომ ჩემი წასვლის შემდეგ შემოვლენ თქვენთან ულმობელი მგლები, რომლებიც არ დაინდობენ სამწყსოს, და თვით თქვენგანაც აღდგებიან კაცები, რომლებიც უკეღმართად ილაპარაკებენ, რომ მოწაფეები გაიყოლიონ". (საქ. 20,25-31; მათ. 13,24-30.37-43).
პირველი საეკლესიო კრება შედგა ნიკეაში 325 წელს, სადაც იმპერატორ კონსტანტინეს ბრძანებით მოხდა ქრისტიანების სახელმწიფოებრივად აღიარება. ამით გატეხეს ქრისტეს აღთქმა, (მარ. 16,15-16; იოან.15,18-19; საქ. 2,38-42; 2 კორ. 6,14-18), რომელიც იყო ჩვენს სასიცოცხლოდ მოცემული. გარდა ამისა ამ კრებაზე გამოსცეს 20 ახალი კანონი და ყურადღება სულ არ მიაქციეს წმიდა წერილს, სადაც სასტიკად არის აკრძალული უფლის მიერ ჩამატება ან გამოკლება. მაგრამ ასეთმა თავხედმა მეთაურებმა გაბედეს, თუმცა ერთი ის არის კარგი, რომ ბიბლიაში ვერ გაბედეს შეტანა. ამიტომ ცალკე წიგნად გამოსცეს და ბიბლია გვერდზე გადადეს.
2) მეორე კრება შედგა კონსტანტინოპოლში 381 წლის მაისში, სადაც დაადგინეს 7 ახალი კანონი, რასაც ბიბლია ეწინააღმდეგება.
3) კრება შედგა ეფესოში 431 წლის ივნისში, ამ კრებაზე ბევრი ჩხუბის შემდეგ დაადგინეს კიდევ 8 ახალი კანონი.
4) მეოთხე კრება შედგა ქ. ქალკიდონში 451 წლის ოქტომბერს, სადაც უსულისო მმართველობამ იმსჯელა ქრისტეს პიროვნების შესახებ, ასევე მისი ბუნებრიობისა და ღვთაებრიობის დადგენისათვის და საბოლოოდ 30 ახალი კანონი გამოსცა.
5) მეხუთე კრება შედგა 553 წლის მაისში კონსტანტინოპოლში, აქ დავიდარაბა მოხდა სახელწოდებაზე მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის, სადაც მონოფიზიტების (ერთბუნებიანები) დამარცხდნენ და გაიმარჯვეს დიოფიზიტებმა (ორბუნებიანებმა).
6) მეექვსე კრება შედგა 680 წელს კონსტანტინოპოლში, აქ ქრისტეს ღვთაებრივ ნებისყოფაზე მსჯელობდნენ ასეთი უსულისო სწავლული ბრბო და ანტიქრიტეს უსულისო. ამ მე-5 და მე-6 კრების საფუძველზე გამოსცეს კიდევ 102 ახალი კანონი.
7) მეშვიდე კრება შედგა 787 წელს ნიკეაში, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა ხატთა წინააღმდეგ, მაგრამ მაინც 22 კანონის გამოცემაში განამტკიცეს ხატთა თაყვანისცემა. და რამდენიმე ამისთანა ძარცვა-გლეჯის მაქინაციებით დადგენილება დადგენილებაზე გამოჰქონდათ, ტაძრებში შეიტანეს ხატები, სტატუები, მრავალი ძეგლი და ქანდაკება. გარდა ამისა, მოსაჩვენებლად პოლიტიკურად შეპყრობილნი, ვითომ სულისიერი მამები სამოსლები-

თა და ანაფორებით ატყუებდნენ, რაც დღევანდლამდე ხდება გაიძვერა რელიგიის უსულისო მღვდელთა ტრადიციებით ატყუებენ და აცდუნებენ გადარჩენისათვის მაძიებელ მთელ ალალ საზოგადოებას.
განიხილეთ მოციქულთა წერილები და შეადარეთ დღევანდელ რელიგიურ მსახურებას, რამდენი განსხვავებაა, როგორც ღამე და დღე, სიბნელე და სინათლე. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დღევანდლამდე უმალავდნენ და უკრძალავდნენ რელიგიის მმართველები ბიბლიის გავრცელებას, რომ ხალხი ბრმა იარაღად გამოეყენებიათ. რატომ დაადგინეს მრავალნაირი მარხულობანი? იმიტომ, რომ მათთვის დღესასწაულებზე მიეტანათ შემონახული ულუფა. მართლაც და რელიგია ნამდვილი ოპიუმია, რაც ათეისტებმა სამართლიანად დაარქვეს. სად იპოვით წმიდა წერილში ისეთ მარხვებს, რაც მათ დაადგინეს?

1 ოთხშაბათ-პარასკევის მარხვა, კვირაში ორი დღე	
2 ნათლისღების წინადღეს	1 დღე
3 იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა	1 ,,
4 ჯვარის ამაღლებას	1 ,,
5 დიდმარხვა ყველიერით	48 ,,
6 პეტრე-პავლობის მარხვა (რიცხვი არაა ნათქვამი	?
7 მარიამობის მარხვა	14 ,,
8 შობის მარხვა	40 ,,

გარდა ეგრეთწოდებული: ძნელი მარხვებისა, არის კიდევ „მსგეფნის მარხვები“

1 შობიდან იანვრამდე მარხვა	11 დღე
2 მეზვერისა და ფარისეველთა კვირა	7 ,,
3 ყველიერის კვირა	7 ,,
4 აღდგომის კვირაში	7 ,,
5 სულით მოფინების კვირაში	7 ,,

ამის შემდეგ ბიბლიაში შეიტანეს კიდევ „აპოგრიფები“, 1546 წელს, რომელიც მანამდე არ იყო, რაც დაუშვებელია წმიდა წერილისათვის, როგორც არა ინსპირირებული ე. ი. არა სულიწმიდით დადგენილი, არა სულისიერი ნიჭით, არამედ უსულისო ბოროტი ადამიანების სიბრძნის გავლენით დადგენილი, როგორიცაა ჩვილთა ნათლობა, ლოცვა მიცვალებულთა, მღვდელთან აღსარებები, მირონცხება, კმევა და მრავალი ცრუ მსახურებანი.
აი, ასე მიატოვეს ჭეშმარიტების გზა, წმიდა წერილი და ქრისტეს სახელის ქვეშ შენიღბულებმა იწყეს ძარცვა-გლეჯა. ტაძრები აქციეს ავაზაკთა გამოქვაბულად დღევანდლამდე (მარ. 11,17). თუ ვინმე გამოდიოდა ჭეშმარიტი ბიბლიის გზით, მას სწვავდნენ და ანადგურებდნენ.
მაგრამ მიუხედავად ქაოსური რელიგიისა და პოლიტიკის მაქინაციებისა, ვმადლობთ ღმერთს ქრისტეს, თავისი რჩეულები მეერგესის დღიდან დღევან-

დლამდე ურწმუნო ხალხისათვის უცნობი ეკლესია, ღმერთისათვის კი ცნობილი, როგორც თავისი შვილები არსებობდნენ და არსებობენ, მიუხედავად დევნისა ათეისტებისა თუ რელიგიური მმართველებისაგან, მაინც ვატარებთ გამარჯვების დროშას ქრისტეს სიყვარულით (მათ. 5,10-12; იოან.15,18-25).„მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი ხელით ავრცელებს თავისი შემეცნების კეთილსურნელებას ყოველ ადგილას. ვინაიდან ქრისტეს კეთილსურნელება ვართ ღმერთისათვის გადარჩენილთა შორისაც და დაღუპილთა შორითაც. ზოგისთვის სიკვდილის სურნელი სასიკვდილოდ და ზოგისთვის სიცოცხლის სურნელი სასიცოცხლოდ. და ვინაა უნარიანი ამისათვის? (2 კორ. 2,14-16).

ახლა გეკითხებით, რომელი პერიოდის მამა-პაპაზე ხართ ძინდობილი? ქრისტიანობამდე თუ ქრისტეს ეკლესიის მეხუთე საუკუნემდე, თუ მეხუთედან მეთორმეტამდე, თუ მეთორმეტედან გასაბჭოებამდე, როგორც საერთო რელიგიაა, ალბათ თქვენც გულისხმობთ თქვენი მამების გადმოცემებს მეთორმეტე საუკუნიდან გასაბჭოებამდე დღევანდლამდე სიცრუეზე.

ამიტომ მეგობარო, თუ თქვენ მართლმადიდებლად ითვლებით ცრუმადიდებელნი, ვალდებული ხართ დაიცვათ: ყველა ზემოხსენებული მარხვები, დღესასწაულები, დოგმები და მთელი რიგი ცერემონიები, რომლითაც ხართ შებოჭილი, და თუ ამასაც არ იცავთ და არ აკეთებთ, ცრუობთ და ყველაფერში ტყუიხართ თქვენ. ამის საფუძველზე ძმურად გთხოვთ ქრისტეს სიყვარულით, მოიქეცით პირადად ქრისტესთან, მან იცის ეს ქაოსური რელიგია და მათი ბნელითის ამბავი, ამიტომ თქვენც სიამოვნებით მიგიღებთ თავის დიდებულ სამეფოში. ის თქვენ არაფერს გთხოვთ, გარდა თქვენი წრფელი გულისა (იგავ. 23,26); რომ თქვენი გული აავსოს უფალმა მხიარულებითა და ნაყოფიერებით, როგორც მეერგესის დღესა 120 სული. და ეს ყველაფერი საქართველოს აყვავებისთვის.

კიდევ განმეორებით გხოვთ, მიატოვეთ ყოველგვარი ცრუ კაცუნების გამოგონილი მაქინაციები და ილუზიები, ეს რელიგიურია თუ პოლიტიკური, ნუ გაებმებით მათ მაცდურ ხაფანგებში და ეშმაკის მახეებში (2 ტიმ. 2,26.) და მოკიდეთ ხელი ბიბლიას. ისწრაფეთ ჭეშმარიტებისაკენ, რომ ღმერთმა გაკურთხოთ და იყოთ კურთხეული ადამიანი.

ღმერთი მრავალი გზით აფრთხილებდა (როგორც დღეს) ჩვენს მამებს თავისი მსახურების მიერ და ჩვენი მთავრების, რელიგის ურჩობის გამო სჯიდა კიდეც ჩვენს ქვეყანას მრავალნაირი სასჯელებით: გვალვებით, სეტყვით შიმშილით, განსაკუთრებით კი შინაგანი უთანხმოებითა და მრავალი ომებით, რითაც თავიანთი გულქვაობის გამო ისე დასუსტდა საქართველო, რომ იძულებული იყო რუსეთისათვის მიემართა მფარველობისათვის. აქაც გატეხეს ღვთის აღთქმა, რადგან ღმერთს კი არ მიანდეს თავისი ბედი, არამედ ადამიანს,და მოექცნენ წყევლის ქვეშ (იერ. 17,5-6; ეს. 36,1-3). ამას კიდევ ისიც დაემატა, რომ პირველ მსოფლიო ომამდე, მეცხრამეტე საუკუნესა და მეო-

ცე საუუკუნის საწყისში მახარობლები უქადაგებდნენ ახალ აღთქმას და აქაც რელიგიური სამღვდელოების წაქეგებით ღმერთის მსახურნი იქნენ განდევნილნი საქართველოდან. ამრიგად, ქრისტეს ჰეშმარიტება უკუაგდეს და ჩვენს საუბედუროდ კიდეც აღსრულდა სიტყვა ქრისტესი ზუსტად (მათ.10, 14-15; ლუკ.10,3-12). დღესაც არ ცხრებიან ზოგიერთი ქართველი სწავლულები თავიანთი ბოროტმოქმედებით, ნაცვლად ქრისტიანული სარწმუნოებისა, ხალხს ხიბლავენ თავიანთი ანგარების და კარიერის გულისთვის ზოგი პოლიტიკური გზით და ზოგიც ანაფორებით, ხილულ ჯვარისა და წვერების ტარებით დაწრწიან და თვითონ ცოდვებისაგან შებოჭილები თავისუფლებას ჰპირდებიან მათ (2პეტ.2,12-22; ეკლესიასტ 8,8). წაიკითხეთ სახ. მათესი 23 თავი აი დღევანდელი რელიგიის ზუსტი გამოსახულება, რომლითაც მტრებს აჩანაგებინებენ ხალხს, როგორც 1924.1937 წლებში და სხვა.

კიდევ ვიმეორებთ უმორჩილესი თხოვნით, მოიქეცით სამართლიანობისაკენ, ჰეშმარიტებისაკენ, რომ ღმერთმა გვაურთხოს და აღგვადგინოს იესო ქრისტეს ძლიერებით. ღმერთი არის ყოვლის შემძლე. მას შეუძლია ყველაფრის შეცვლა. იხ. წიგნი იონა მი–3 თავი.(ეზეკ. 18.18-19: 2ნიშ. 30.7-9). ღმერთი კაცთმოყვარე, დიდად მომთმენი და მრავლის მიმტევებელია (რიცხ. 34,6-7თ ძსალმ 103,8-13).

პატარა

ნუ იხარებ მტერო ჩემო!

ნუ ენდობით ერთმანეთს, არ ესავოთ მეგობარს; შენს მკერდზე მწოლრესაგან უდარაჯე შენი პირის კარებს.

რამეთუ ძე შეარცხვენს მამას, ასული აღდგება დედის წინააღმდეგ, რძალი – დედამთილის წინააღმდეგ; მტრები კაცისა – თავისივე სახლეულია. ხოლო მე კი უმზერებ ჩემს უფალს, ვესავები ღმერთსა ჩემს მხსნელსა: ჩემი ღმერთი მომისმენს მე.

ნუ იხარებ ჩემს გამო მტერო ჩემო! თუმცა მე დავეცი, მაგრამ ავდგები; თუმცა წყვდიადში ვარ, მაგრამ უფალია სინათლე ჩემთვის.

რისხვას უფლისას ვატარებ, იმიტომ რომ შევცოდე მის წინაშე, სანამ იგი არ გადასწყვეტს ჩემს საქმეს და არ მოახდენს სამსჯავროს ჩემზე: მაშინ იგი გამომიყვანს მე სინათლეზე, და მე ვიხილავ მის სიმართლეს. და დაინახავს ამას ჩემი მტერი. და სირცხვილი დაფარავს მას, მოლაპარაკე ჩემზე: „სად არის უფალი ღმერთი შენი“? მას დაინახავენ ჩემი თვალები, როგორ იქნება იგი გათელილი ფეხქვეშ, მსგავსად ტალახისა ქუჩებში.

მიხა 7, 5-10.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ჟამი

შვილნო! უკანასკნელი ჟამი არის და როგორც მოისმინეთ, რომ მოვა ანტიქრისტე, და ახლა აღდგნენ მრავალნი ანტიქრისტენი, და ამით ვიცით, რომ ეს უკანასკნელი ჟამია. ისინი ჩვენგან გავიდნენ, მაგრამ ჩვენნი არ იყვნენ; ვინაიდან ჩვენგანნი რომ ყოფილიყვნენ, ჩვენთან დარჩებოდნენ;მაგრამ ამით გახდა ცხადი, რომ ყველანი როდი არიან ჩვენნი.

თქვენ კი ცხებულება გაქვთ წმიდის მიერ და იცით ყველაფერი. იმიტომ კი არ მოგწერეთ, რომ ჭეშმარიტება არ იცოდით, არამედ იმიტომ, რომ იცით იგი და ისიც, რომ არავითარი სიცრუე არაა ჭაშმარიტებიდან.

ვინ არის ცრუ, თუ არა იგი ვინც უარყოფს, რომ იესო არის ქრისტე? ეს არის ანტიქრისტე, რომელიც უარყოფს მამას და ძეს.

ყოველი ვინც ძეს უარყოფს, არც მამა ჰყავს; ხოლო ვინც აღიარებს ძეს, მამაც ჰყვს.

Nr 493 გალობა

1. იმ სამშობლოში მგზავრები მიდიან, სადაც არ არის სიბნელე, სადაც სიამით მინდვრები ყვავიან, სადაც ანათებს ჰზე-ქრისტე.

მისამღერი: (არ არის) ელვა, სიბნელე, (არ არის) ელვა, სიბნელე, როგორც მზე, იქ ანათებს ქრისტე (2).

2. არ არის წამება, არც ბოროტება, არ არის სუნთქვა სიკვდილის, არც ხალხი ბოროტი, არც ძალადობა, სიხარულია სინათლის.

3. ის მხარე ახლოა, ძახილი ისმის, ხალხი შორიდან უგალობს, გალობა მოჩქეფს ვით წყარო უფლის მიწიდან მოსულებისთვის.

4. ძვირფასი ქრისტეს სისხლითა დახსნილნი სვამენ სიკეთის წყაროდან, მარად სიხარული და სიყვარული, გამოკრთის მათი სახიდან.

5. იქ მოსულთა რიცხვსა და მათ სახელებს სწერენ იქა წმიდა წიგნში, ღებულობს ღმერთი და მის სამეფოში პირდება სიმშვიდეს მუდმივს.

წიგნთა სათაურები შემოკლებულად

1.	დაბ.		დაბადება-	,, 1 ,,
2.	გამხ.		გამოსვლა-	,, 2 ,,
3.	ლევ.		ლევიტელთა-	,, 3 ,,
4.	რიცხ.		რიცხვთა -	,, 4 ,,
5.	2შჯ.		მეორე სჯული -	,, 5 ,,
6.	იხუ ნ.		ის.ნ.	იხუ ნავესის ,,
7.	მსჯ.			მსაჯულთა ,,
8.	რუთ.			რუთის ,,
9.	1მფ.			პირველი ფეფეს ,,
10.	2მფ.			მეორე მეფის ,,
11.	3მფ.			მესამე მეფის ,,
12.	4მფ.			მეოთხე მეფის ,,
13.	1ნშტ.			პირველი ნეშტის ,,
14.	2ნშტ.			მეორე ნეშტის ,,
15.	ეზრ.			ეზდრასი ,,
16.	ნემ.			ნემიასი ,,
17.	ესთ.			ესთერის ,,
18.	იობ.			იობისა ,,
19.	ფს.			ფსალმუნის ,,
20.	იგავ.		იგ.	იგავი სოლომონის ,,
21.	ეკლ.			ეკლესიასტეს ,,
22.	ქებ.		ქებ.	ქება ქებათა ,,
23.	ეს.			ესაიასი ,,
24.	იერ.			იერემიასი ,,
25.	გოდ.		იერ.	გოდება იერემიასი ,,
26.	ეზკ.			ეზეკიელისა ,,
27.	დან.			დანიელისა ,,

ეროვნული ბიბლიოთეკა

28. ოხე. ოხესი ,,
29. ოვ. ოველისა ,,
30. ამს. ამოსისა ,,
31. აზდ. აზდიასი ,,
32. ონ. ონასი ,,
33. მიქ. მიქიასი ,,
34. ნაუმ. ნაუმისი ,,
35. ამზ. ამზაკუმისა ,,
36. სოფ. სოფონიასი ,,
37. ანგ. ანგიასი ჰაგაიას ,,
38. ზაქ. ზაქარიასი ,,
39. მალ. მალაქისი ,,

ახალი აღთქმა

1. მათ. მთ. მათეს სახარება
2. მარ. მრ. მარკოზის სახარება
3. ლუკ. ლკ. ლ. ლუკას სახარება
4. იოან. იან. ინ. ი. = იოანეს სახრება
5. საქ. მოციქულთა საქმენი
6. იაკ, წერილი იაკობისა
7. 1პეტ. 1პტ. ,, პირველი პეტრესი
8. 2პეტ. 2პტ. ,, მეორე ,,
9. 1იოან. 1იან. ი.,, პირველი იოანესი
10. 2იოან. 2იან. 2ი. ,, მეორე იოანესი
11. 3იოან. 3იან. 3ი. ,, მესამე ,,
12. იუდ. ,, იუდასი
13. რომ. ,, რომაელთა მიმართ

14. 1კორ. ,, პირველი კორინთელთა მიმ.
15. 2კორ. ,, მეორე ,, ,,
16. გალ. ,, გალატელთა მიმართ
17. ეფს. ,, ეფესელთა ,,
18. ფილ. ,, ფილიპელთა ,,
19. კოლ. ,, კოლასელთა ,,
20. 1თეს. ,, პირველი თესალონიკელთა მიმ.
21. 2თეს ,, მეორე ,,
22. 1ტიმ. ,, პირველი ტიმოთეს
23. 2ტიმ. ,, მეორე ,,
24. ტიტ. ,, ტიტეს მიმართ
25. ფლმ. ,, ფილიმონის
26. ებრ. ,, ებრაელთა მიმართ
27. გამოც. გმც. გამოცხადება იოანესი

<u>წელთაღრიცხვა</u>

ქრ. წინ = ქრისტეს წინ
ქრ. შემ. = ქრისტეს შემდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნუ გეშინია,

რამეთუ მე

გამოგისყიდე

შენ, მე გიწოდე

სახელი შენი;

შენ ხარ ჩემი!

6-1480